**თარიღი**
• 20 მაისი - 11:00 საათი
• 21 მაისი - 15:00 საათი

**ტრენერის შესახებ**

ტრენინგ-სემინარს გაუძღვება **თამთა ხუციშვილი** – საგრანტო პროექტებისა და პროგრამების მართვის მიმართულებით მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ექსპერტი.

მისი პროფესიული გამოცდილება მოიცავს:

• პროექტების მართვის პროფესიონალის საერთაშორისო სერტიფიკატს – **PMP®**
• საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიურ ხარისხს
• საგრანტო პროექტებისა და განვითარების პროგრამებში მუშაობის **15 წელზე მეტ გამოცდილებას**
• მუშაობას საჯარო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის:
   1. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში
   2. იუსტიციის სამინისტროში
   3. საქართველოს გაეროს ასოციაციაში (**UNAG**)

**ტრენინგი ჩატარდება ორ ეტაპად**

**პირველი დღე - პირისპირ შეხვედრა სტუ-ში**

მონაწილეები პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე განიხილავენ რუსთაველის ფონდის იმ საპროექტო განაცხადების რეალურ მაგალითებს, რომლებმაც ვერ გადალახეს შეფასების ბარიერი.

**ძირითადი აქცენტები:**
• ყველაზე გავრცელებული შინაარსობრივი შეცდომები
• შეფასების პროცესში დაშვებული კრიტიკული ხარვეზები
• ძლიერი საპროექტო განაცხადის სტრუქტურა და ლოგიკა
• პროექტის იდეის სწორად ფორმულირების პრაქტიკული მიდგომები

ტრენინგ- სემინარის ხანგრძლივობა: 3 საათი

**მეორე დღე – ონლაინ შეხვედრა**

ტრენინგის მეორე ნაწილი დაეთმობა ფონდის ტექნიკურ და ფორმალურ საკითხებს:

• ტექნიკური მოთხოვნების სწორი შესრულება
• ყველაზე გავრცელებული ფორმალური შეცდომები
• განაცხადის ატვირთვისა და დოკუმენტაციის მომზადების მნიშვნელოვანი დეტალები

**არ გამოტოვოთ შესაძლებლობა, აიმაღლოთ საგრანტო განაცხადების მომზადების ხარისხი და მიიღოთ პრაქტიკული რჩევები გამოცდილი ექსპერტისგან!**

**გაითვალისწინეთ:** ადგილები შეზღუდულია. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მოხდება მონაწილეთა შერჩევა, რის შემდეგაც ოფისის წარმომადგენლები დაგიკავშირდებიან.